დანართი №1
დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2018 წლის 13 ივლისის №99 ბრძანებით

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობები

1. ზოგადი დებულებები

1. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების შემდგომ განვითარებას;

ბ) საერთაშორისო პარტნიორებსა და არასამეცნიერო სექტორთან (კერძო სექტორი - მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები) თანამშრომლობით მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიის, მათემატიკის, მედიცინისა და ჯანმრთელობის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებების მიმართულებით საქართველოს ინსტიტუციების გრძელვადიანი, ინოვაციური და ტექნოლოგიური გამოყენებითი კვლევითი პროექტების განხორციელებას;

გ) სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ ტექნოლოგიის ტრანსფერისა და ინოვაციების უზრუნველყოფას;

დ) ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გზით გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შერჩევასა და დაფინანსებას;

ე) კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელებას;

ვ) ინოვაციური კვლევების გამოვლენას, რომელთა შედეგად მიღებულ მაღალტექნოლოგიურ პროდუქტზე ადგილობრივ და/ან საერთაშორისო ბაზარზე არსებობს მოთხოვნა და რომელიც პასუხობს ახალი ტექნოლოგიების განვითარების სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას.

2. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი მიზნად ისახავს კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე პროექტების გამოვლენას.

3. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში პროექტის წარდგენა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილების პირველი დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორის (დანართი 14) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:

1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
2. ინჟინერია და ტექნოლოგიები;
3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
4. აგრარული მეცნიერებები;
5. სოციალური მეცნიერებები (მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტების შემთხვევაში);
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები (მხოლოდ ინტერდისციპლინური პროექტების შემთხვევაში).

4. გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის მიზნებისათვის

პროექტი ინტერდისციპლინურად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მოიცავს ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირველიდან მე-4 მიმართულებების ჩათვლით ერთ-ერთს და მე-5 - მე-6 მიმართულებებიდან რომელიმეს, აგრეთვე პირველიდან მე-4 მიმართულებების ნებისმიერ კომბინაციას.

5. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება სამი კატეგორიის პროექტი:

ა) **პირველი კატეგორია** - ტექნოლოგიის ტრანსფერის ხელშემწყობი საპილოტე კვლევითი გრანტი ცალკეული ორგანიზაციებისათვის;

ბ) **მეორე კატეგორია** - ინოვაციური კვლევების განხორციელება და ტექნოლოგიური განვითარების გრანტი კონსორციუმებისათვის;

გ) **მესამე კატეგორია** - კვლევითი კონცეფციის დამტკიცება: ინფრასტრუქტურის, ტრენინგისა და კლასტერების განვითარების გრანტი კონსორციუმებისათვის.

6. საგრანტო კონკურსში მონაწილე პროექტი უნდა ითვალისწინებდეს:

ა) ტრენინგს სამეწარმეო/ინოვაციური აზროვნების საკითხებზე;

ბ) ინოვაციას, ტექნოლოგიის ტრანსფერსა და მათთან ასოცირებული კვლევის კომპონენტებს;

გ) პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (software) ან ტექნოლოგიის შექმნას;

დ) სამრეწველო ნიმუშის/პროტოტიპის სახით ახალი/გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის, მასალების, სამკურნალო საშუალების, მოწყობილობის, კონსტრუქციისა და ა.შ. შექმნას და შესაბამისი ტექნოლოგიის შემუშავებას/სრულყოფას.

7. სასურველია, პროექტი ითვალისწინებდეს საერთაშორისო თანამშრომლობას.

8. კონკურსი ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში – ფონდი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის №85 დადგენილებითა და წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესების შესაბამისად.

მუხლი 2. სუბიექტები

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ და გრანტის მიღება შეუძლიათ:

ა) **წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის სახით**, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, საქართველოში რეგისტრირებულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს, რომელთა წესდების/დებულების მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

ბ) **ძირითადი პერსონალის სახით** - საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქე დოქტორის, მაგისტრის, ბაკალავრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, აგრეთვე დოქტორანტს, მაგისტრანტს.

2. კონკურსში მონაწილე სამივე კატეგორიის პროექტს უნდა ჰყავდეს **წამყვანი ორგანიზაცია.**

3. პირველი კატეგორიის პროექტის შემთხვევაში ფონდში პროექტის წარდგენა და კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ **წამყვან ორგანიზაციას და ძირითად პერსონალს ერთობლივად**.

4. მეორე/მესამე კატეგორიის პროექტის შემთხვევაში ფონდში პროექტის წარდგენა და კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ **კონსორციუმს (წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ისაგან შემდგარ ჯგუფს) და ძირითად პერსონალს ერთობლივად**.

5. კონსორციუმი უნდა შედგებოდეს მინიმუმ **2 და მაქსიმუმ 5 ორგანიზაციისაგან.**

6. კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის **ძირითადი პერსონალის მინიმუმ ერთ წევრს** უნდა ჰქონდეს ბიზნეს საქმიანობის გამოცდილება და მჭიდრო კავშირები ბიზნეს სექტორთან. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს მის პროფესიულ ბიოგრაფიაში (CV) მოყვანილი მონაცემებით.

7. **მეორე/მესამე კატეგორიის** პროექტის შემთხვევაში კონსორციუმის **მინიმუმ ერთი წევრი ორგანიზაცია** უნდა იყოს საქართველოში ან საზღვარგარეთ კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი იურიდიული პირი.

8. კონსორციუმის წევრი სამეწარმეო იურიდიული პირი, ასევე უცხოური ორგანიზაცია ვერ იქნება გრანტის მიმღები.

9. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის ხელმძღვანელი** - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე პროექტის ძირითადი პერსონალიდან, რომელიც კოორდინაციას უწევს პროექტის შედგენას, პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;

10. პროექტს უნდა ჰყავდეს **პროექტის კოორდინატორი**, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საკითხებზე. პროექტის ხელმძღვანელი და პროექტის კოორდინატორი არ შეიძლება იყოს ერთი და იგივე პირი.

11. პროექტს შეიძლება, ჰყავდეს **პროექტის თანახელმძღვანელი** - პირი ძირითადი პერსონალიდან, რომელიც არის კონსორციუმის წევრი თანამონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელი.

12. პროექტის ძირითად პერსონალში უნდა იყოს მინიმუმ ერთი **ახალგაზრდა მეცნიერი** - მაგისტრის/დოქტორის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომლის აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე მაგისტრატურის, რეზიდენტურის, დოქტორანტურის სტუდენტი. პროექტში ჩართვის შემთხვევაში, სავალდებულოა ახალგაზრდა მეცნიერ(ებ)ის მონაწილეობა პროექტის ყველა საანგარიშო პერიოდში.

13. პროექტს შესაძლოა, ჰყავდეს **დამხმარე პერსონალი** – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში. დაუშვებელია, დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა.

14. პროექტს შესაძლოა, ჰყავდეს **თანადამფინანსებელი** – იურიდიული ან ფიზიკური პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ფონდთან ერთად აფინანსებს/აფინანსებენ კვლევით პროექტს.

15. **ძირითადი პერსონალის სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია, ჩართული იყოს ჯამში **მხოლოდ ორ პროექტში**. იგულისხმება, როგორც ამ კონკურსში წარმოდგენილი, ასევე ის მიმდინარე პროექტები, რომელებიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების, გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსებში.

16. **პროექტის ხელმძღვანელის სტატუსით** ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია, ჩართული იყოს **მხოლოდ ერთ პროექტში**. იგულისხმება, როგორც ამ კონკურსში წარმოდგენილი, ასევე, ის მიმდინარე პროექტი, რომელიც დაფინანსდა ფონდის მიერ ადმინისტრირებული შემდეგი კონკურსების ფარგლებში: ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების,

გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების და უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსები.

17. ამ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტებისათვის პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული ორმხრივი ხელმოწერით დამოწმებული შედარების აქტი და თუ პროექტი არ არის დახურული **2018 წლის 30 ოქტომბრის** მდგომარეობით.

18. დაუშვებელია გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსში ისეთი საპროექტო განაცხადების შეტანა, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოვა ამ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტებთან.

მუხლი 3. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

1. პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 2, 3 ან 4 წელი. საანგარიშო პერდიოდის ხანგრძლივობაა 1 წელი (12 თვე).

2. ფონდიდან მოთხოვნილი წლიური საგრანტო დაფინანსება ერთი ორგანიზაციისათვის არ უნდა აღემატებოდეს 140 000 ლარს, ხოლო მთლიანი კონსორციუმისათვის - 420 000 ლარს და უნდა შეესაბამებოდეს პროექტის კატეგორიას შემდეგი სქემის მიხედვით:

ფონდიდან მოთხოვნილი წლიური ბიუჯეტის მაქსიმალური რაოდენობა		
პროექტის კატეგორია	**ერთი ორგანიზაციისათვის**	**კონსორციუმისათვის**
I. ტექნოლოგიის ტრანსფერის ხელშემწყობი საპილოტე კვლევითი გრანტი ცალკეული ორგანიზაციებისათვის	140 000 ლარი	-
II. ინოვაციური კვლევების განხორციელება და ტექნოლოგიური განვითარების გრანტები კონსორციუმებისათვის	140 000 ლარი	420 000 ლარი
III. კვლევითი კონცეფციის დამტკიცება: ინფრასტრუქტურის, ტრეინინგის და კლასტერების განვითარების გრანტი კონსორციუმებისათვის	140 000 ლარი	420 000 ლარი

3. პროექტის ბიუჯეტში საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია, ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსება;
ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურება;
გ) მივლინება;
დ) საქონელი და მომსახურება;
ე) არაფინანსური აქტივები;
ვ) ზედნადები ხარჯები.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი 13).

5. ძირითადი პერსონალის ყოველთვიური საგრანტო დაფინანსებისა და დამხმარე პერსონალის ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი თანხის 50%-ს.

6. ზედნადები ხარჯების - წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსების 7%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია, „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით

გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისა და წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაცი(ებ)ის მიერ სამეცნიერო-კვლევითი დაფინანსებისათვის.

7. კონსორციუმის წევრი სამეწარმეო იურიდიული პირი, ასევე უცხოური ორგანიზაცია, ვერ იქნება გრანტის მიმღები.

8. ფონდიდან მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება შესაძლებელია, ითვალისწინებდეს კვლევის მასალებზე დაყრდნობით ინტელექტუალური საკუთრების შექმნასა და რეგისტრირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (იხ. ბიუჯეტის კლასიფიკატორი - დანართი 13).

9. პროექტს შესაძლოა, ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინასებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული გრანტი.

10. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

11. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა/იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, პლანშეტური კომპიუტერის და მობილური ტელეფონის შეძენა.

12. გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება პროექტის დასრულების შემდეგ საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსი მოიცავს **სამ ეტაპს:**
ა) პირველი ეტაპი - საპროექტო განაცხადის კონცეფციის წარდგენა;
ბ) მეორე ეტაპი - პროექტის წარდგენა;
გ) მესამე ეტაპი - პროექტის პრეზენტაცია კომისიის წინაშე.

2. **პირველ ეტაპზე** მონაწილეობისათვის საჭიროა:

ა) პროექტის ხელმძღვანელმა კონკურსის ელექტრონულ ფოსტაზე ar@rustaveli.org.ge გამოაგზავნოს საპროექტო განაცხადის კონცეფცია (დანართი 2), რომელსაც მიენიჭება შიფრი;

ბ) **წინასწარი ძიების** განაცხადის შევსება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ელექტრონულ სისტემაში (ბმული: https://online.sakpatenti.gov.ge/ka/app/login/) - გამოგონების გასხნის ფორმა (დანართი 3);

გ) ფონდის კანცელარიაში წარმოადგინოს განცხადება საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის შესახებ შიფრის მითითებით (დანართი 4).

3. **მეორე ეტაპზე** მონაწილეობისათვის შერჩეული კონცეფციების ავტორებმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (ბმული: http://gmus.rustaveli.org.ge) ელექტრონულად უნდა დაარეგისტრირონ პროექტების სრული ვერსია, რომელებიც შედგება შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტებისგან:

ა) პროექტის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს:

ა.ა. **კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ** (ნიმუში - დანართი 5, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

ა.ბ. **საპროექტო წინადადება** (დანართი 6, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

ა.გ. **პროექტის ძირითადი პერსონალის** (ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ქართველი და უცხოელი მკვლევრების) **პროფესიული ბიოგრაფიები (CV)** ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის - ინგლისურ ენაზე. ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას ხელმძღვანელის მიერ (ნიმუში - დანართი 7). უცხოელი ძირითადი პერსონალის ინგლისური CV-ების ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

ა.დ. **პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი** (ნიმუში - დანართი 8, ივსება GMUS);

ა.ე. **პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება** (ნიმუში - დანართი 9, ივსება GMUS-ში).

ბ) პროექტის თანდართული დოკუმენტებია:

ბ.ა. **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმოდგენილი უნდა იყოს იურიდიული პირის, ან ფიზიკური პირის მიერ დადასტურებული და სავალდებულოა, ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა და მიზნობრიობა.

ბ.ა.ა) იურიდიული პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში **ცნობა თანადაფინანსების შესახებ** წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 10-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ორგანიზაციის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის ბეჭდით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია, მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ.ა.ბ) ფიზიკური პირის მხრიდან თანადაფინანსების შემთხვევაში ცნობა **თანადაფინანსების შესახებ** წარმოდგენილი უნდა იყოს დანართი 10-ის ფორმით, დამოწმებული თანადამფინანსებელი ფიზიკური პირის ხელმოწერით (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია უცხო ენაზე, აუცილებელია, მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ.ბ. **სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ თანხმობის წერილი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში). წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 11-ის ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). თუ დოკუმენტის ორიგინალი გაცემულია ინგლისურ ენაზე, აუცილებელია მისი ქართული თარგმანი დამოწმებული იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ;

ბ.გ. წამყვანი ორგანიზაციის და ასევე კონსორციუმში შემავალი ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი - სსიპ-ს შემთხვევაში ატვირთული უნდა იყოს დაფუძნების დოკუმენტი, ა(ა)იპ-ის და უსდ-ს შემთხვევაში - ორგანიზაციის წესდება და ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (2018 წლით დათარიღებული). საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაციის შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

ბ.დ. პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი, დოქტორანტის/ მაგისტრანტის/რეზიდენტურის სტუდენტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალისათვის, აკადემიური ხარისხის დოკუმენტი უნდა იყოს ლეგალიზებული ან აღიარებული განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

ბ.ე. საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ბ.ე.ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „**განცხადება კონკურსის მეორე ეტაპზე მონაწილეობის შესახებ**“ (ნიმუში - დანართი 12, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ.ე.ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთოდეს აღნიშნული პირის თანხმობის წერილი, ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი, თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული. თანხმობის წერილით უნდა დასტურდებოდეს, რომ იგი გაეცნო კონკურსის პირობებს და თანახმაა კონკურში მონაწილეობაზე;

ბ.ე.გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. კონკურსის **მესამე ეტაპზე** გადასული პროექტების ავტორებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის პრეზენტაცია კომისიის წინაშე.

5. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი ორგანიზაციის და კონსორციუმში შემავალი ორგანიზაცი(ებ)ის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები – ამ პროექტისათვის გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან ორგანიზაციას და კონსორციუმში შემავალ ორგანიზაცი(ა/ებ)ს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

6. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

7. პროექტის სრულყოფილად წარმოდგენაზე, ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობასა და თარგმანის ხარისხზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. საგრანტო კონკურსის **პირველ ეტაპზე** პროექტის კონცეფციის რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

ა) კონცეფციის წარმოდგენა ელ.ფოსტაზე ar@rustaveli.org.ge - 2018 წლის 13 ივლისიდან - 20 აგვისტო 16:00 საათამდე;

ბ) **წინასწარი ძიების** განაცხადის შევსება საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ელექტრონულ სისტემაში (ბმული: https://online.sakpatenti.gov.ge/ka/app/login/) - 2018 წლის 13 ივლისიდან - 20 აგვისტოს 16:00 საათამდე;

გ) განცხადების წარმოდგენა ფონდის კანცელარიაში - 2018 წლის 21 აგვისტოს 16:00 საათამდე.

2. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ იმ პროექტის კონცეფცია, რომელსაც საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსის პირველ ეტაპზე მონაწილეობის შესახებ.“

3. საგრანტო კონკურსის **მეორე ეტაპზე** პროექტის რეგისტრაციისათვის აუცილებელია:

ა) პროექტის სრული ვერსიის ელექტონული რეგისტრაცია გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS-ში (ბმული: http://gmus.rustaveli.org.ge) 2018 წლის 10 ოქტომბრიდან - 28 ოქტომბრის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია 2018 წლის 29 ოქტომბრის 16:00 საათამდე.

4. ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი და კონსორციუმის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წევრი ორგანიზაცი(ებ)ის, ასევე თანადამფინანსებელი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ბ.გ.-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ბ.დ.-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. **სავალდებულოა,** პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილის“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ - ინგლისურ ენაზე.

გ) პროექტის რეგისტრაცია გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსზე, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი).

5. **საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია** გულისხმობს კონკურსის მეორე ეტაპში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის ბ.ე.-ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში დარეგისტრირებულია პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „**განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ**“ .

7. საგრანტო კონკურსის მესამე ეტაპზე გადასული პროექტების ავტორებმა უნდა წარმოადგინონ პროექტის პრეზენტაცია კომისიის წინაშე. საგრანტო კონკურსის მესამე ეტაპი არ საჭიროებს

საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენას და რეგისტრაციას.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირება

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

ა) პირველი ეტაპი - საპროექტო განაცხადის კონცეფციის წარდგენა

ა.ა. **2018 წლის 13 ივლისი** – კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;

ა.ბ. **2018 წლის 24 ივლისი, 26 ივლისი, 7 აგვისტო** – ჯგუფური კონსულტაციები;

ა.გ. **2018 წლის 14 აგვისტო** – შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;

ა.დ. **2018 წლის 13 ივლისიდან 20 აგვისტოს 16:00 სთ-მდე –** პროექტების კონცეფციის ელექტრონული რეგისტრაცია საგრანტო კონკურსის პირველ ეტაპზე;

ა.ე. **2018 წლის 21 აგვისტო 16:00 სთ-მდე** – ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირველ ეტაპზე კონცეფციის მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა;

ა.ვ. **2018 წლის ოქტომბერი** – კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე გადასული პროექტის კონცეფციების შესახებ;

ბ) მეორე ეტაპი - პროექტის წარდგენა

ბ.ა. **2018 წლის 12 და 18 ოქტომბერი** – ჯგუფური კონსულტაციები;

ბ.ბ. **2018 წლის 22 ოქტომბერი** - შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;

ბ.გ. **2018 წლის 10 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე –** მეორე ეტაპზე გასული პროექტის სრული ვერსიის ელექტრონული რეგისტრაცია GMUS-ში;

ბ.დ. **2018 წლის 29 ოქტომბრის 16:00 სთ-მდე** - ფონდის კანცელარიაში კონკურსის მეორე ეტაპზე სრული პროექტის მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა;

ბ.ე. **2018 წლის ნოემბერი -** კონკურსის მეორე ეტაპის შუალედური შედეგების გამოქვეყნება - ინფორმაცია საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე საგრანტო კონკურსიდან მოხსნილი პროექტების შესახებ;

ბ.ვ. **2018 წლის ნოემბერი -** კონკურსის მეორე ეტაპზე პირობების დაცვით წარმოდგენილი სრული პროექტების შეფასება დამოუკიდებელი ექსპერტების/ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ის მიერ;

ბ.ზ. **2018 წლის ნოემბერი** – კონკურსის მეორე ეტაპის შედეგების გამოქვეყნება და მესამე ეტაპზე გადასული პროექტების გამოვლენა;

გ) მესამე ეტაპი - პროექტის პრეზენტაცია კომისიის წინაშე.

გ.ა. **2018 წლის დეკემბერი** – პროექტების პრეზენტაცია კომისიის წინაშე;

გ.ბ. **2018 წლის დეკემბერი** - კონკურსის მესამე ეტაპის შედეგების გამოქვეყნება დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან/და ექსპერტთა ჯგუფ(ებ)ისგან მიღებული შეფასებებისა და კომისიისაგან მიღებული შეფასებების შეჯამების საფუძველზე, სამი რანჟირებული სიის შედგენა პროექტების კატეგორიების შესაბამისად და დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენა;

გ.გ. **2018 წლის დეკემბერი** – დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიის დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;

გ.დ. **2018 წლის დეკემბერი** – საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.

2. ფონდი უფლებამოსილია ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე დაადგინოს ხარვეზი და იმოქმედოს კანონის შესაბამისად. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი საგრანტო კონკურსის მეორე ეტაპზე ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში:

ა) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის თანდართული დოკუმენტების შეუსაბამოდ წარმოდგენის შემთხვევაში ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;

ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული **პროექტის შინაარსობრივი ნაწილის** არასრულად, ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია, კონკურსიდან მოხსნას პროექტი;

გ) პროექტის ბიუჯეტისა და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების (დანართი №8) კონკურსის პირობების მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, ფონდი უფლებამოსილია, კონკურსიდან მოხსნას პროექტი;

დ) პროექტში ჩართული სუბიექტების - იურიდიული და ფიზიკური პირების - კონკურსის პირობების მე-2 მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს.

3. ფონდი უფლებამოსილია, საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ:

ა) არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს ან ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს;

ბ) კონკურსის პირობების მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

მუხლი 7. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი საგრანტო პროექტები შეფასდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-9 და მე-10 მუხლებით დადგენილი წესებითა და ამავე დადგენილების დანართ 2-ით განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

2. ფონდი უზრუნველყოფს, რომ პროექტი შესაფასებლად არ გაეგზავნოს ექსპერტს, რომელიც პროექტის წარმომდგენმა დაასახელა არასასურველ ექსპერტად.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს გრანტის მიმღებებთან - საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებას, რომელშიც დეტალურად გაიწერება ურთიერთვალდებულებათა პირობები.

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. ხელშეკრულება ფორმდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით განსაზღვრული წესების დაცვით.

4. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პროექტის საგრანტო დაფინანსება ხორციელდება ტრანშების სახით. გრანტის თანხები გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით. პირველი ტრანში გადაირიცხება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადაირიცხება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის შუალედური ანგარიშების განხილვის საფუძველზე. ტრანშების გადარიცხვა მოხდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით განსაზღვრული წესით.

5. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, პროექტით განსაზღვრული კონკრეტული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თანადაფინანსების თანხის საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის ან პროექტისათვის შესაბამისი ფინანსური რესურსის გამოყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება. აღნიშნული საკითხები დარეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებით.

6. გამარჯვებული პროექტის ხელმძღვანელის ან ძირითადი პერსონალის წევრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევების დროს, არგუმენტირებული დასაბუთების საფუძველზე.

მუხლი 9. პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი) საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილების მე-12 მუხლით განსაზღვრული წესების დაცვით, რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

3. მონიტორინგი მოიცავს ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს:

   ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

   ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის

გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

4. ფონდი უფლებამოსილია, შეამოწმოს თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია.

5. ფონდი არ არის ვალდებული, განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

6. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ მომავალ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

7. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.

8. ფონდი უფლებამოსილია, განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის და დასრულების შესახებ. ფონდი უფლებამოსილია, აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის - ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.

9. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

1. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N85 დადგენილებით.

2. გრანტის შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა, გრანტის მიმღები ვალდებულია, შესაბამის სახაზინო ანგარიშზე დააბრუნოს არამიზნობრივად დახარჯული თანხა, აუთვისებელი ნაშთი, შეწყვეტამდე მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაცემული გრანტის მიმღებთა საგრანტო დაფინანსება.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

1. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტის ფარგლებში განახორციელოს კონკურსის პირობების პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი აქტივობები.

2. გრანტის მიმღები ვალდებულია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით შექმნას ინტელექტუალური საკუთრება: პატენტით, საავტორო უფლებით, სასაქონლო ნიშნით დაცული ინტელექტუალური საკუთრება.

3. სასურველია, პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების მასალებზე პუბლიკაცია გამოქვეყნდეს საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემაში. ასეთ გამოცემად ფონდის

მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: Scimago Journal Ranking, Elsevier (Scopus და ScienceDirect), Web of Science, ERIH plus ან გამოქვეყნებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოცემულ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმაძის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე).

4. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/ საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.

5. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა, მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია, მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.

6. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა, განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.

7. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.